

სახელმწიფო აუდიტის სამსახური



“**შ ა მ ტ კ ი ც ე პ**”

ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების

ბიუჯეტების აუდიტის დეპარტამენტის

უფროსი

ჭ. ჭყეშვილი ზურაბ ბუცხრიკიძე

„**08**“ „**09**“ 2015 წელი

ეგზ. № 1

ასპინძის მუნიციპალიტეტის 2013-2014 წლების ფინანსური ანგარიშგების

ფინანსური აუდიტის ანგარიში

აღ 55/00

2015 წელი

სარჩევი

აუდიტის მიზანი	4
აუდიტის განმახორციელებელი სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მოსამსახურეების უფლება-მოვალეობები.....	4
აუდიტის ობიექტის უფლებები და მოვალეობები	5
ინფორმაცია აუდიტის ობიექტის შესახებ	5
2013 წლის ფინანსური ანგარიშგების პირობითი მოსაზრების საფუძვლები	7
მოთხოვნები დარიცხული ჯარიმებით, სანქციებით და საკუთრებასთან დაკავშირებული სხვა შემოსავლებით	7
სხვა საგადასახადო აქტივი	8
შენობა-ნაგებობები	8
არაწარმოებული აქტივები	11
ვალდებულებები მოწოდებიდან და მომსახურებიდან	12
ბიუჯეტის წინაშე სხვა ვალდებულებები	12
სხვა შემოსავლები	12
შრომის ანაზღაურება.....	13
შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება	13
ოფისის ხარჯი.....	14
წარმომადგენლობითი ხარჯი	15
ტრანსპორტის, ტექნიკისა და იარაღის ექსპლუატაციისა და მოვლა-შენახვის ხარჯი.....	15
სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება	15
ძირითადი კაპიტალის მოხმარება.....	16
გრანტები.....	16
ბალანსის დანართი ფორმები.....	17
ინვენტარიზაცია	17
აუდიტის დასკვნა - პირობითი დასკვნა.....	18
2014 წლის ფინანსური ანგარიშგების პირობითი მოსაზრების საფუძვლები	18
მოთხოვნები დარიცხული ჯარიმებით, სანქციებით და საკუთრებასთან დაკავშირებული სხვა შემოსავლებით	18
სხვა საგადასახადო აქტივი.....	18
შენობა-ნაგებობები.....	19

არაწარმოებული აქტივები	22
ვალდებულებები მოწოდებიდან და მომსახურებიდან	22
სხვა შემოსავლები	23
შრომის ანაზღაურება.....	23
ოფისის ხარჯი.....	23
წარმომადგენლობითი ხარჯი	24
ტრანსპორტის, ტექნიკისა და იარაღის ექსპლუატაციისა და მოვლა-შენახვის ხარჯი.....	24
სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება	25
ბალანსის დანართი ფორმები.....	26
გრანტები.....	26
ინვენტარიზაცია	26
სხვა მნიშვნელოვანი საკითხები.....	27
სხვა ხარჯები	27
პრემია	27
აუდიტის დასკვნა - პირობითი დასკვნა.....	28
ასპინძის მუნიციპალიტეტის 2013 წლის ფინანსური ანგარიშგება	29
ასპინძის მუნიციპალიტეტის 2014 წლის ფინანსური ანგარიშგება	43
აუდიტის ანგარიშის გასაჩივრების წესი.....	56
აუდიტის ჯგუფის წევრების ხელმოწერები.....	56

აუდიტის მიზანი

აუდიტის მიზანია აუდიტის ობიექტის 2013-2014 წლების პერიოდის მდგომარეობით შედგენილი ბუღალტრული ანგარიშგების სისწორეზე მოსაზრების გამოთქმა.

აუდიტის ობიექტის ბუღალტრული ანგარიშგების ფორმები, რომლებზეც გაიცემა აუდიტორული დასკვნა, მოიცავს აუდიტის ობიექტის ბალანსს 2013-2014 წლების მდგომარეობით და ბალანსის დანართ ფორმებს, რომლებიც დადგენილია „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 16 აპრილის №364 ბრძანებით.

აუდიტი ითვალისწინებს პროცედურების ჩატარებას ბუღალტრული ანგარიშგების ფორმებში ასახულ თანხებსა და სათანადო ახსნა-განმარტებებზე საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებების მოსაპოვებლად, აუდიტორული დასკვნის გამყარების მიზნით. პროცედურები შეირჩევა აუდიტორის განსჯის საფუძველზე, რაც მოიცავს არსებითი რისკების შეფასებას, რომლებიც გამოწვეულია თაღლითობით ან შეცდომით.

აუდიტის განმახორციელებელი სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მოსამსახურეების უფლება-მოვალეობები

აუდიტის განმახორციელებელი სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მოსამსახურეები ვალდებული არიან:

- ა) აუდიტი წარმართოს უმაღლესი აუდიტორული ორგანოების აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად (ISSAI), რაც გულისხმობს პროფესიული ეთიკის მოთხოვნებთან შესაბამისობის დაცვას, ასევე აუდიტის დაგეგმვასა და ჩატარებას გონივრული რწმუნების მისაღებად იმის შესახებ, რომ აუდიტის ობიექტის ანგარიშგება არ შეიცავს არსებით უზუსტობას.
- ბ) დაიცვან საქართველოს კონსტიტუცია და სხვა ნორმატიული აქტები;
- გ) აუდიტის ობიექტს გააცნონ აუდიტის სახეობა, მიზანი, პერიოდი და მხარეთა უფლება-მოვალეობანი;
- დ) უზრუნველყონ პერსონალური მონაცემების, სახელმწიფო, სამსახურებრივი და კომერციული საიდუმლოებების დაცვა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;
- ე) აუდიტის შედეგები არ გახადონ საჯარო აუდიტის ანგარიშის შედგენამდე;
- ვ) აუდიტის პროცესში შესაძლო დანაშაულის ნიშნების გამოვლენის შემთხვევაში დოკუმენტების ორიგინალები დაურთონ აუდიტის მასალებს, ხოლო მათი დამოწმებული ასლები დატოვონ აუდიტის ობიექტში;
- ზ) დაიცვან სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მოსამსახურეთა ეთიკის კოდექსი;
- თ) აუდიტის ჩატარებისას არ ჩაერიონ აუდიტის ობიექტის მიმდინარე საქმიანობაში.

აუდიტორული პროცედურები შეირჩევა აუდიტორის პროფესიულ მსჯელობაზე დაყრდნობით, რაც მოიცავს:

- ბუღალტრული ანგარიშგების ფორმებში არსებით უზუსტობების რისკებისა და კონტროლის მექანიზმების შეფასებას;
- ბუღალტრული აღრიცხვის სისტემისა და აუდიტის ობიექტის ხელმძღვანელობის მიერ შემუშავებული აღრიცხვის წესების შეფასებას;
- ანგარიშგების წარდგენის საერთო შეფასებას;
- სხვა დამატებით პროცედურებს, რომლებიც განისაზღვრება აუდიტის მსვლელობისას.

აუდიტის ობიექტის უფლებები და მოვალეობები

აუდიტის ობიექტი აგრეთვე ვალდებულია, უზრუნველყოს ბუღალტრული ანგარიშგების მომზადება და სამართლიანად წარდგენა შემდეგი ნორმატიული აქტების შესაბამისად:

- „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის №70 ბრძანებულება;
- „ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქცია¹;
- „ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 16 აპრილის №364 ბრძანება.

ინფორმაცია აუდიტის ობიექტის შესახებ

ასპინძის მუნიციპალიტეტი არის დამოუკიდებელი საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომელსაც აქვს თვითმმართველობის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები, განკარგავს საკუთარ ქონებასა და ბიუჯეტს. მუნიციპალიტეტი მოიცავს 12 ადმინისტრაციულ ერთეულს, რომელიც აერთიანებს 1 დაბას და 25 სოფელს². ასპინძის მუნიციპალიტეტის ფართობია 825 კვ.კმ, მოსახლეობის რიცხოვნობა შეადგენს 12.7 ათასს კაცს³. ადმინისტრაციული ცენტრია - დაბა ასპინძა. ასპინძის მუნიციპალიტეტი თავის საქმიანობას წარმართავს საქართველოს კონსტიტუციის, ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის⁴, საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის, საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით.

თავის უფლებამოსილებათა განსახორციელებლად ასპინძის მუნიციპალიტეტს გააჩნია საკუთარი ბიუჯეტი. საბიუჯეტო კოდექსის თანახმად, ადგილობრივი ბიუჯეტის დამოუკიდებლობა გარანტირებულია საკუთარი შემოსულობებითა და გადასახდელების

¹ 2015 წლის 1 იანვრიდან მოქმედებს იმავე ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქცია „ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“.

² www.mreg.reestri.gov.ge.

³ www.aspindza.ge.


⁴ აღნიშნული კოდექსი მოქმედებს 2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შემდგომ, ხოლო მანამდე მოქმედებდა საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“.

გაწევის დამოუკიდებლად განსაზღვრის შესაძლებლობით. მისი ძირითადი მიმართულებებია:

- ✓ საბიუჯეტო პროცესის განხორციელება (საბიუჯეტო ურთიერთობა და პასუხისმგებლობა);
- ✓ სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პრიორიტეტების განსაზღვრის მიზნით, მოქალაქეების ინტერესების გათვალისწინებით წინადადებების, დასკვნებისა და რეკომენდაციების მომზადება;
- ✓ იურიდიული პირების დაფუძნება, რეორგანიზაცია, ლიკვიდაცია;
- ✓ მუნიციპალური ქონების შექმნის, სარგებლობისა და განკარგვის საკითხების რეგულირება საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში;
- ✓ სივრცით-ტერიტორიული მოწყობა, განაშენიანება და ტერიტორიის კეთილმოწყობა;
- ✓ მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარების საკითხებზე წინადადებების, დასკვნებისა და რეკომენდაციების მომზადება;
- ✓ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სოციალურად დაუცველი პირების აღრიცხვა და სხვ.

ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის მიხედვით, 2013 წელს ასპინძის მუნიციპალიტეტის შემოსულობებმა შეადგინა 6301.2 ათასი ლარი. შემოსულობებიდან 5573.5 ათასი ლარი (88%) არის სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული ტრანსფერი. მათ შორის, გათანაბრებითი ტრანსფერის სახით მიღებულია 1364.4 ათასი ლარი, მიზნობრივი ტრანსფერი შეადგენს 120.0 ათას ლარს, ხოლო დანარჩენი 4089.1 ათასი ლარი მიღებულია სპეციალური ტრანსფერის სახით⁵.

დიაგრამა 1: სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული ტრანსფერი - 2013 წელი




ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის მიხედვით, 2013 წელს ბიუჯეტის გადასახდელებმა შეადგინა 5362.5 ათასი ლარი. გადასახდელების 42%-ს შეადგენს ხარჯები, ხოლო 58%-ს - არაფინანსური აქტივების ზრდა. 2013 წელს მუნიციპალიტეტის მიერ არაფინანსური აქტივის ზრდის კუთხით ძირითადად განხორციელებულია შემდეგი

⁵ აღნიშნული სპეციალური ტრანსფერი მოიცავს არაფინანსური აქტივების ზრდის მიზნით მიღებულ თანხებს, ხოლო 2015 წლის 1 იანვრიდან ამ მიზნით მუნიციპალიტეტები იღებენ კაპიტალურ ტრანსფერს.

აქტივობები: შენობა-ნაგებობების, მათ შორის, გზისა და წყლის სისტემების სარეაბილიტაციო სამუშაოები, აგრეთვე გარე განათების სამუშაოები.

ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის მიხედვით, 2014 წელს ასპინძის მუნიციპალიტეტის შემოსულობებმა შეადგინა 4556.6 ათასი ლარი. შემოსულობებიდან 3948.0 ათასი ლარი (87%) არის სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული ტრანსფერი, მათ შორის, გათანაბრებითი ტრანსფერის სახით მიღებულია 1978.2 ათასი ლარი, მიზნობრივი ტრანსფერი შეადგენს 126.0 ათას ლარს, ხოლო დანარჩენი 1843.8 ათასი ლარი, მიღებულია სპეციალური ტრანსფერის სახით.

დიაგრამა 2: სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული ტრანსფერი - 2014 წელი



ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის მიხედვით, 2014 წელს ბიუჯეტის გადასახდელებმა შეადგინა 5334.8 ათასი ლარი. გადასახდელების 46%-ს შეადგენს ხარჯები, ხოლო 54%-ს - არაფინანსური აქტივების ზრდა.

აუდიტის ჯგუფი არ გამოთქვამს მოსაზრებას 2013-2014 წლებში ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი საწყისი ნაშთების სისწორეზე. ჩატარებული აუდიტორული პროცედურებით დადგინდა, რომ მუნიციპალიტეტის მიერ დანერგილი შიდა კონტროლის მექანიზმები ვერ უზრუნველყოფს არსებითი უზუსტობების გამოვლენას ან/და თავიდან აცილებას. აუდიტის შედეგად იდენტიფიცირებულია უზუსტობები და რიგი გარემოებები, რომლებიც არსებით გავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი ინფორმაციის სისწორეზე.

ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია პირობითი აუდიტორული მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

2013 წლის ფინანსური ანგარიშგების პირობითი მოსაზრების საფუძვლები

მოთხოვნები დარიცხული ჯარიმებით, სანქციებით და საკუთრებასთან დაკავშირებული სხვა შემოსავლებით

გარემოება 1: წარმოდგენილი ინფორმაციით, 2013 წელს მოქმედი ხელშეკრულებების მიხედვით, მისაღები შემოსავლები სასოფლო-სამეურნეო და არასასოფლო-სამეურნეო

დანიშნულების მიწების იჯარიდან არის 11.4 ათასი ლარი. პასუხისმგებელი პირის განმარტებით, მუნიციპალიტეტს 2013 წელს აღნიშნული შემოსავლი არ მიუღია და არც აღურიცხავს.

გავლენა

- ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსი - ფორმა №1) „მოთხოვნები დარიცხული ჯარიმებით, სანქციებით და საკუთრებასთან დაკავშირებული სხვა შემოსავლებით“ მუხლი შემცირებულია 11.4 ათასი ლარით.
- გარემოება გავლენას ახდენს (ბალანსი - ფორმა №1, ფორმა №3) „წმინდა ღირებულების“ მუხლის სისწორეზე.

სხვა საგადასახადო აქტივი

გარემოება: ბიუჯეტთან ანგარიშსწორების შედარების აქტის მიხედვით, ასპინძის მუნიციპალიტეტს 2013 წლის გადასახადების საწყის და საბოლოო სალდოდ ერიცხება ზედმეტობა 3.4 ათასი ლარის ოდენობით. მუნიციპალიტეტის მიერ აღნიშნული საგადასახადო აქტივი ბალანსის შესაბამის მუხლში ასახული არ არის.

გავლენა

- ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსი - ფორმა №1) „სხვა საგადასახადო აქტივის“ მუხლი შემცირებულია 3.4 ათასი ლარით.

შენობა-ნაგებობები

გარემოება 1: მუნიციპალიტეტმა 2012 წელს შეისყიდა დაბა ასპინძაში საკანალიზაციო სისტემის სარეაბილიტაციო სამუშაო, რომლის დასრულების ვადა იყო 2013 წელი. მიმწოდებლის მიერ 2012 წელს შესრულებულია 7.2 ათასი ლარის, ხოლო 2013 წელს 23.5 ათასი ლარის ღირებულების სამუშაოები. მუნიციპალიტეტმა 2013 წლის არაფინანსური აქტივის ზრდის ოპერაციად აღიარა მიმწოდებლების მიერ მხოლოდ 2013 წელს შესრულებული სამუშაოები, ნაცვლად მთლიანი 30.7 ათასი ლარისა.

ბუღალტრულ ჩანაწერებსა და ფინანსურ ანგარიშგებაში სამუშაოების მთლიანი ღირებულება აღიარებული უნდა იყოს „შენობა-ნაგებობების“ შესაბამის მუხლში და დაერიცხოს ცვეთა. ასევე, 2012 წელს შესრულებული სამუშაოები წარმოადგენს დაუმთავრებელ მშენებლობას და წარმოდგენილი უნდა იყოს 2013 წლის საწყის ნაშთად „დაუმთავრებელი მშენებლობის“ მუხლში. აღნიშნული ოპერაცია მუნიციპალიტეტის მიერ არ განხორციელებულა.

გავლენა

- ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსი ფორმა №1; ბალანსის დანართი ფორმა №2-1; ფორმა №5) „შენობა-ნაგებობების“ შესაბამისი მუხლი შემცირებულია 7.2 ათასი ლარით.
- ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსი ფორმა №1) „დაუმთავრებელი მშენებლობის“ მუხლის საწყისი ნაშთი შემცირებულია 7.2 ათასი ლარით.
- შესრულებული სამუშაოები წარმოადგენს მუნიციპალიტეტის აქტივს და უნდა დაერიცხოს ცვეთა, რაც არ განხორციელებულა. დასარიცხი ცვეთის თანხით ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსის დანართები ფორმა №2; №3 და №5) „ძირითადი კაპიტალის მოხმარების“ მუხლი არასწორად არის წარმოდგენილი.

⁶ ხელშეკრულება №182 (2012 წელი).

- გარემოებები გავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსი - ფორმა №1) წარმოდგენილ „წმინდა ღირებულების“ მუხლის სისწორეზე.

გარემოება 2: 2013 წელს მიმწოდებელმა შეასრულა სოფელ ოშორაში მისასვლელი გზის მოასფალტების სამუშაო⁷, ღირებულებით 687.9 ათასი ლარი. მუნიციპალიტეტმა შესრულებული სამუშაოს ღირებულების 10% - 68.8 ათასი ლარი, მიმწოდებელს ჩაურიცხა 2014 წელს. მუნიციპალიტეტის მიერ „შენობა-ნაგებობების“ მუხლში აღიარებული უნდა იყოს მიმწოდებლის მიერ ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოები. ნაცვლად ამისა, არაფინანსურ აქტივად აღიარებულია მხოლოდ 619.1 ათასი ლარის სამუშაოები. ასევე, 68.8 ათასი ლარი მუნიციპალიტეტის მიერ აღიარებული უნდა იყოს ვალდებულებად, რაც არ განხორციელებულა.

გავლენა

- ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსი ფორმა №1; ბალანსის დანართი ფორმა №2-1; ფორმა №5) „შენობა-ნაგებობების“ შესაბამისი მუხლი შემცირებულია 68.8 ათასი ლარით.
- ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსი ფორმა №1) „ვალდებულებები მოწოდებიდან და მომსახურებიდან“ მუხლი შემცირებულია 68.8 ათასი ლარით.
- შესრულებული სამუშაოები წარმოდგენს მუნიციპალიტეტის აქტივს და უნდა დარიცხვოდა ცვეთა, რაც არ განხორციელებულა. დასარიცხი ცვეთის თანხით ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსის დანართები ფორმა №2, №3 და №5) „ძირითადი კაპიტალის მოხმარების“ მუხლი არასწორად არის წარმოდგენილი.
- დასარიცხი ცვეთა გავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსი - ფორმა №1) წარმოდგენილ „წმინდა ღირებულების“ მუხლის სისწორეზე.

გარემოება 3: სხვადასხვა მიმწოდებლის მიერ 2012 წელს შესრულებული სამუშაოების ღირებულების ნაწილი 1322.5 ათასი ლარი⁸, მუნიციპალიტეტმა ჩარიცხა და არაფინანსურ აქტივად აღიარა 2013 წელს. მათ შორის, 1317.5 ათასი ლარის სამუშაოები მიეკუთვნება 2012 წლის ფაქტობრივ შესრულებას და მათი აღიარება 2013 წლის „შენობა-ნაგებობების“ მუხლში არასწორია. დარჩენილი 5.0 ათასი ლარი არის მუნიციპალიტეტის მიერ გადახდილი ჯარიმა სანებართვო პირობების დარღვევისათვის, რომელიც წარმოდგენილი უნდა იყოს „სხვა ხარჯების“ მუხლში.

ასევე, 1317.5 ათასი ლარი მუნიციპალიტეტის მიერ უნდა იყოს აღიარებული ვალდებულებად, რაც არ განხორციელებულა.

გავლენა

- ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსი - ფორმა №1; ბალანსის დანართი ფორმა №2-1; ფორმა №5) „შენობა-ნაგებობების“ შესაბამისი მუხლები გაზრდილი თანხით არის წარმოდგენილი.
- ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსი - ფორმა №1) „ვალდებულებები მოწოდებიდან და მომსახურებიდან“ მუხლი შემცირებულია 1317.5 ათასი ლარით.

⁷ ხელშეკრულება №78.

⁸ ხელშეკრულება №81 (2012 წელი), ი.მ იმედა მაისურაძე, ხელშეკრულება №141 (2011 წელი).

- ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსის დანართი ფორმა №2, №3) „სხვა ხარჯების“ მუხლი შემცირებულია 5.0 ათასი ლარით.
- გამოვლენილი გარემოება გავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსი - ფორმა №1) წარმოდგენილ „წმინდა ღირებულების“ მუხლის სისწორეზე.

გარემოება 4: 2013 წელს მუნიციპალიტეტმა შეისყიდა გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები, რომელთა დასრულების ვადაა 2014 წელი. სამუშაოების ღირებულებამ შეადგინა სულ 1134.2 ათასი ლარი. მიმწოდებელმა 2013 წელს წარმოადგინა შესრულებული სამუშაოს ნაწილი, ღირებულებით 177.3 ათასი ლარი. აღნიშნული, ნაცვლად „დაუმთავრებელი მშენებლობის“, ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია „შენობა-ნაგებობების“ შესაბამის მუხლში.

გავლენა

- ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსი - ფორმა №1 და ბალანსის დანართი ფორმა №5) „დაუმთავრებელი მშენებლობის“ მუხლის ნაშთი წლის ბოლოსათვის შემცირებულია 177.3 ათასი ლარით.
- ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსი ფორმა №1; ბალანსის დანართი ფორმა №2-1, ფორმა №5) „შენობა-ნაგებობების“ შესაბამისი მუხლები გაზრდილი თანხით არის წარმოდგენილი.

გარემოება 5: მუნიციპალიტეტის მიერ წლის მანძილზე განხორციელდა 33.5¹⁰ ათასი ლარის ისეთი საპროექტო მომსახურების შესყიდვა, რომელთა საშუალებით შეიქმნა მუნიციპალიტეტის ძირითადი ქონება. საქართველოს ფინანსთა მინისტრის №1321 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციით¹¹, ოპერაციის ძირითად აქტივად აღიარების დროს ყველა დანახარჯი, რომელიც საჭიროა აქტივის დანიშნულებისამებრ გამოსაყენებლად და სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად, ემატება აქტივის ღირებულებას. მიუხედავად ამისა, აღნიშნული თანხა მუნიციპალიტეტის მიერ წარმოდგენილია „სხვა დანარჩენი საქონლისა და მომსახურების“ მუხლში.

გავლენა

- ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსი - ფორმა №1; ბალანსის დანართი ფორმა №2-1, ფორმა №5) „შენობა-ნაგებობების“ შესაბამისი მუხლები შემცირებული თანხით არის წარმოდგენილი.
- ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსის დანართი ფორმა №2; №3) „სხვა დანარჩენი საქონლისა და მომსახურების“ მუხლი გაზრდილია 33.5 ათასი ლარით.
- შესრულებული სამუშაოები წარმოადგენს მუნიციპალიტეტის აქტივს და უნდა დაერიცხოს ცვეთა, რაც არ განხორციელებულა. დასარიცხი ცვეთის თანხით ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსის დანართები ფორმა №2; №3 და №5) „ძირითადი კაპიტალის მოხმარების“ მუხლი არასწორად არის წარმოდგენილი.
- დასარიცხი ცვეთა გავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსი - ფორმა №1) წარმოდგენილ „წმინდა ღირებულების“ მუხლის სისწორეზე.

⁹ 2013 წელი - ხელშეკრულებები: №84, №108.

¹⁰ შპს „ნაისი 2009“, შპს „ჯეო როუდ“, შპს „მაგი“.

¹¹ „ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“.

გარემოება 6: სხვადასხვა მიმწოდებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებების ფარგლებში მუნიციპალიტეტმა შეისყიდა 41.8 ათასი ლარის ღირებულების გზის მოხრეშვისა და გაწმენდის სამუშაოები¹². აღნიშნული მიეკუთვნება მიმდინარე ხარჯს და წარმოდგენილი უნდა იყოს „სხვა დანარჩენი საქონლისა და მომსახურების“ მუხლში, ნაცვლად „შენობა-ნაგებობების“ მუხლისა.

გარდა ამისა, მუნიციპალიტეტის მიერ ახალციხის „ტაო-კლარჯეთის“¹³ ეპარქიისა და აგარის მონასტრისთვის გადარიცხულია 26.7 ათასი ლარი, რომელიც აღიარებულია არაფინანსურ აქტივად. იქიდან გამომდინარე, რომ აღნიშნული მიეკუთვნება ხარჯებს, მისი წარმოდგენა „შენობა-ნაგებობების“ მუხლში არასწორია.

გავლენა

- ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსი ფორმა №1; ბალანსის დანართი ფორმა №2-1, ფორმა №5) „შენობა-ნაგებობების“ შესაბამისი მუხლები გაზრდილია 68.5 ათასი ლარით.
- ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსის დანართი ფორმა №2; ფორმა №3) „სხვა დანარჩენი საქონლისა და მომსახურების“ მუხლი შემცირებულია 41.8 ათასი ლარით, ხოლო სუბსიდიის მუხლი 26.7 ათასი ლარით.

არაწარმოებული აქტივები

გარემოება 1: პასუხისმგებელი პირის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, ასპინძის მუნიციპალიტეტს 2013 წლის ბოლოს საკუთრებაში აქვს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა - 5568 ჰა და არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა - 1327 კვ.მ, საერთო ღირებულებით 760.1 ათასი ლარი. აღნიშნული მონაცემი ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი არ არის. წარმოდგენილი ინფორმაციის გარდა, საჯარო რეესტრის მონაცემებით, მუნიციპალიტეტს კიდევ ერიცხება გარკვეული ქონება, რომელიც ასევე უნდა აღირიცხოს ფინანსურ ანგარიშგებაში.

გავლენა

- ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსი - ფორმა №1 და ბალანსის დანართი ფორმა №5) „არაწარმოებული აქტივების“ მუხლი არასწორად არის წარმოდგენილი.

გარემოება 2: წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, 2013 წელს მუნიციპალიტეტის მიერ გაყიდულია არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 1511 კვ.მ მიწა, საერთო ღირებულებით - 6.0 ათასი ლარი. აღნიშნული მონაცემი არ არის წარმოდგენილი ფინანსურ ანგარიშგებაში.

გავლენა

- ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსის დანართი ფორმა №5) „არაწარმოებული აქტივების“ მუხლი „გაყიდვიდან“ არასწორად არის წარმოდგენილი.
- გარემოება გავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსი - ფორმა №1) წარმოდგენილ „წმინდა ღირებულების“ მუხლის სისწორეზე.

¹² ხელშეკრულებები №40, №57, №63, №64, №119.

¹³ ასპინძის მუნიციპალიტეტის გამგებლის ბრძანებები №30, №54.

ვალდებულებები მოწოდებიდან და მომსახურებიდან

გარემოება: მუნიციპალიტეტს ორგანიზაციის ბალანსის მუხლში „ვალდებულებები მოწოდებიდან და მომსახურებიდან“ ერიცხება 292.1 ათასი ლარის საწყისი ნაშთი. პასუხისმგებელი პირის განმარტებით, აღნიშნული თანხა წარმოადგენს სხვაობას სხვადასხვა პროექტების სახელშეკრულებო და ფაქტობრივ ღირებულებას შორის¹⁴. აღსანიშნავია, რომ მუნიციპალიტეტმა მიმწოდებლებს თანხა აუნაზღაურა შესრულებული სამუშაოს აქტების მიხედვით. შესაბამისად, სახელშეკრულებო და ფაქტობრივ ღირებულებას შორის სხვაობის ვალდებულებად აღიარება არასწორია.

გავლენა

- ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსი - ფორმა №1) „ვალდებულებები მოწოდებიდან და მომსახურებიდან“ მუხლის საწყისი ნაშთი გაზრდილია 292.1 ათასი ლარით.

ბიუჯეტის წინაშე სხვა ვალდებულებები

გარემოება: საქართველოს მთავრობის 2012 წლის 13 ივლისის №1380 განკარგულებით, მუნიციპალიტეტს რეგიონებში სხვადასხვა შეხვედრის ორგანიზების, სტუმრების მიღებისა და სხვა წარმომადგენლობითი ხაჯებისათვის გამოყოფილი თანხიდან აუთვისებელი დარჩა - 1.3 ათასი ლარი, რომელიც 2013 წელს დაბრუნებულია სახელმწიფო ბიუჯეტში. აღნიშნული ოპერაცია 2012 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში უნდა აისახოს ერთი მხრივ შემოსავლების შემცირებით და მეორე მხრივ ვალდებულებების ზრდით. შესაბამისად 1.3 ათასი ლარი აღრიცხული უნდა იყოს „ბიუჯეტის წინაშე სხვა ვალდებულებების“ მუხლის 2013 წლის საწყის ნაშთად.

გავლენა

- ფინანსური ანგარიშგებაში (ბალანსის დანართი ფორმა №1) „ბიუჯეტის წინაშე სხვა ვალდებულებების“ საწყისი ნაშთი შემცირებულია 1.3 ათასი ლარით.
- ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსის დანართი ფორმა №3) „შემოსავლების“ მუხლი არასწორადაა წარმოდგენილი.
- ფინანსური ანგარიშგებაში (ბალანსის დანართი ფორმა №1) „წმინდა ღირებულების მუხლი“ გაზრდილია 1.3 ათასი ლარით.

სხვა შემოსავლები

გარემოება: წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, დასუფთავების მოსაკრებლის ადმინისტრირებას ახდენს შპს „ასპინძის კეთილმოწყობა“. პასუხისმგებელი პირის განმარტებით, ფიზიკური პირებიდან ამოღებული მოსაკრებლის ოდენობამ 2013 წელს შეადგინა 3.5 ათასი ლარი, ხოლო იურიდიული პირებიდან - 10.9 ათასი ლარი. ადგილობრივ ბიუჯეტში ჩარიცხულია მხოლოდ 3.5 ათასი ლარი, ხოლო დანარჩენი რჩება შპს „ასპინძის კეთილმოწყობის“ ანგარიშზე. იქიდან გამომდინარე, რომ აღნიშნული მოსაკრებელი მთლიანად წარმოადგენს მუნიციპალიტეტის შემოსავალს, 10.9 ათასი ლარი აღიარებული უნდა იყოს მუხლში „სხვა შემოსავლები“.

გავლენა

- ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსი - ფორმა №3) „სხვა შემოსავლების“ მუხლი შემცირებულია 10.9 ათასი ლარით.

¹⁴ შპს „კოლხი“ 2007 წელი.

- გარემოება გავლენას ახდენს (ბალანსი - ფორმა №1, ფორმა №3) „წმინდა ღირებულების“ მუხლის სისწორეზე.

შრომის ანაზღაურება

გარემოება 1: 2011 წელს საკრებულოს დადგენილებით დამტკიცდა ასპინძის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების წესი¹⁵. წარმოდგენილი დოკუმენტაციით, 2013 წელს ასპინძის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრებს, ხარჯის დამადასტურებელი დოკუმენტების წარდგენის გარეშე, სულ მიღებული აქვთ 38.7 ათასი ლარი. აღნიშნული თანხა კლასიფიცირებულია „შრომის ანაზღაურების“ მუხლში. რადგან ხარჯის დამადასტურებელი დოკუმენტაცია არ არის წარმოდგენილი, ვერ დგინდება, რომელი მუხლით უნდა აღირიცხოს გაწეული დანახარჯი.

გავლენა

- ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსი - დანართი ფორმა №2, №3) „შრომის ანაზღაურების“ მუხლი გაზრდილია 38.7 ათასი ლარით.

გარემოება 2: მუნიციპალიტეტის ბალანსის დანართ ფორმა №2-ის „თანამდებობრივი სარგოს“ მუხლში აღრიცხულია 1142.8 ათასი ლარი. წარმოდგენილი ინფორმაციით, აღნიშნული გარდა ხელფასებისა, მოიცავს პრემიას - 67.3 ათას ლარს და კომპენსაციას - 28.3 ათას ლარს. საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით, პრემიის სახით გაცემული თანხები უნდა კლასიფიცირდეს „პრემიის“ მუხლში, ხოლო თანამშრომლებისათვის სამსახურიდან დათხოვნის კომპენსაციის სახით გადახდილი თანხები „სოციალური უზრუნველყოფის“ მუხლში.

ასევე, ასპინძის მუნიციპალიტეტმა 2013 წელს სახელფასო ფონდიდან სადეკრეტო შვებულებისათვის გასცა 3.4 ათასი ლარი, რაც „სოციალური უზრუნველყოფის“ მუხლს მიეკუთვნება.

გავლენა

- ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსი - დანართი ფორმა №2) ერთი მხრივ, „თანამდებობრივი სარგოს“ მუხლი გაზრდილია 99.0 ათასი ლარით, ხოლო მეორე მხრივ, „პრემიის“ მუხლი შემცირებულია 67.3 ათასი ლარით, ასევე „სოციალური უზრუნველყოფის“ მუხლი შემცირებულია (ბალანსი - დანართი ფორმა №2, ფორმა №3) 31.7 ათასი ლარით.

შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება

გარემოება: წარმოდგენილი მონაცემების მიხედვით, შტატგარეშე მომუშავეებზე შრომის ანაზღაურების სახით წლის განმავლობაში გაცემულია 53.3 ათასი ლარი¹⁶. აღნიშნული მონაცემი ბალანსის დანართ ფორმა №2-ის „საქონლისა და მომსახურების მუხლში“ წარმოდგენილია 47.0 ათასი ლარით. მათ შორის, სხვაობა - 6.3 ათასი ლარი, არასწორად ასახულია „შრომის ანაზღაურების“ მუხლში.

გავლენა

- ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსი - დანართი ფორმა №2, ფორმა №3) „შრომის ანაზღაურების“ მუხლი გაზრდილია 6.3 ათასი ლარით, ხოლო იმავე თანხით

¹⁵ საკრებულოს 2011 წლის 21 სექტემბრის დადგენილება №22 და 2014 წლის 27 ოქტომბრის დადგენილება №37.

¹⁶ ხელფასი 49.5 ათასი ლარი, პრემია 3.8 ათასი ლარი.

შემცირებულია (ბალანსი - დანართი ფორმა №2, ფორმა №3) „საქონლისა და მომსახურების“ მუხლი.

ოფისის ხარჯი

გარემოება 1: ბუღალტრული მონაცემების მიხედვით, მუნიციპალიტეტმა „ოფისის ხარჯების“ მუხლიდან გასწია 20.0 ათასი ლარის ხარჯი, რომლითაც დაფინანსდა ა(ა)იპ „ასპინძის მაცნეს“ მიმდინარე ხარჯი. საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით, საჯარო სამართლის იურიდიულ პირებზე/არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირებზე და სხვა სახელმწიფო არაფინანსურ საწარმოებზე მიმდინარე და საოპერაციო ხარჯების დასაფინანსებლად გადაცემული თანხები აღირიცხება „სუბსიდიის“ მუხლით. შესაბამისად, მუნიციპალიტეტის მიერ განხორციელებული ოპერაცია ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია არასწორად.

გავლენა

- ოპერაციების არასწორ მუხლში კლასიფიცირების გამო, ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსის დანართი ფორმა №2, ფორმა №3) „ოფისის ხარჯების“ მუხლი გაზრდილია 20.0 ათასი ლარით, ხოლო იმავე თანხით შემცირებულია „სუბსიდიების“ მუხლი.

გარემოება 2: 2013 წელს მუნიციპალიტეტმა შეიძინა ბალანსზე რიცხული ავტომანქანების რეცხვის მომსახურება, ღირებულებით 1.3 ათასი ლარი¹⁷. საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით, მსგავსი ტიპის ხარჯები მიეკუთვნება „ტრანსპორტის, ტექნიკისა და იარაღის მოვლა-შენახვისა და ექსპლუატაციის ხარჯების“ მუხლს. მიუხედავად ამისა, მუნიციპალიტეტის მიერ აღნიშნული ოპერაცია კლასიფიცირებულია არასწორად - „ოფისის ხარჯების“ მუხლში.

გავლენა

- ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსის დანართი ფორმა №2) „ტრანსპორტის, ტექნიკისა და იარაღის მოვლა-შენახვისა და ექსპლუატაციის ხარჯების“ მუხლი შემცირებულია 1.3 ათასი ლარით, ხოლო იმავე თანხით გაზრდილია „ოფისის ხარჯების“ მუხლი.

გარემოება 3: 2013 წელს მუნიციპალიტეტის მიერ „ოფისის ხარჯების“ მუხლში აღრიცხული არის კომუნალური მომსახურების ღირებულება 5.6 ათასი ლარი. აღნიშნული წარმოადგენს 2012 წლის დეკემბრის ელექტროენერგიის, წყლის და სხვა მომსახურების ღირებულებას და გადარიცხულია 2013 წელს. შესაბამისად, მისი 2013 წლის ფაქტობრივ ხარჯად აღიარება არასწორია.

გარდა ამისა, ფინანსურ ანგარიშგებაში „ოფისის ხარჯების“ ფაქტობრივ მუხლში არ არის ასახული 5.8 ათასი ლარის ხარჯი. აღნიშნული წარმოადგენს დეკემბრის კომუნალური და სხვა მომსახურების თანხას, რომელიც გადარიცხულია 2014 წელს.

გავლენა

- ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსის დანართი ფორმა №2, ფორმა №3) „ოფისის ხარჯის“ ფაქტობრივი მუხლი ერთი მხრივ, გაზრდილია 5.6 ათასი ლარით, ხოლო მეორე მხრივ, შემცირებულია 5.8 ათასი ლარით.

¹⁷ ხელშეკრულება №38.

- გარემოება გავლენას ახდენს (ბალანსი - ფორმა №1) „ვალდებულებები მოწოდებიდან და მომსახურებიდან“ მუხლის სისწორეზე.

წარმომადგენლობითი ხარჯი

გარემოება: საქართველოს მთავრობის 2012 წლის 13 ივლისის №1380 განკარგულებით, მუნიციპალიტეტს რეგიონებში სხვადასხვა შეხვედრის ორგანიზების, სტუმრების მიღებისა და სხვა წარმომადგენლობითი ხაჯებისათვის გამოყოფილი თანხიდან აუთვისებელი დარჩა - 1.3 ათასი ლარი, რომელიც 2013 წელს დაბრუნებულია სახელმწიფო ბიუჯეტში. ჩარიცხული თანხა, ნაცვლად - ვალდებულების შემცირებისა, გატარებულია „წარმომადგენლობითი ხარჯებში“.

გავლენა

- ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსის დანართი ფორმა №2, ფორმა №3) „წარმომადგენლობითი ხარჯის“ მუხლი გაზრდილია 1.3 ათასი ლარით.
- ფინანსური ანგარიშგებაში (ბალანსის დანართი ფორმა №1) „ბიუჯეტის წინაშე ვალდებულებების“ საწყისი ნაშთი შემცირებულია 1.3 ათასი ლარით.
- ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსის დანართი ფორმა №3) „შემოსავლების“ მუხლი არასწორადაა წარმოდგენილი.

ტრანსპორტის, ტექნიკისა და იარაღის ექსპლუატაციისა და მოვლა-შენახვის ხარჯი

გარემოება: 2013 წლის დეკემბერში მუნიციპალიტეტმა შეისყიდა 4.6 ათასი ლარის საწვავი, რომლის ღირებულება გადარიცხა 2014 წელს. აღნიშნული ფინანსურ ანგარიშგებაში უნდა აღირიცხოს „ტრანსპორტის, ტექნიკისა და იარაღის ექსპლუატაციისა და მოვლა-შენახვის“ ფაქტობრივი ხარჯის მუხლში, რაც მუნიციპალიტეტის მიერ არ განხორციელებულა.

გავლენა

- ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსის დანართი ფორმა №2) „ტრანსპორტის, ტექნიკისა და იარაღის მოვლა-შენახვისა და ექსპლუატაციის ხარჯების“ ფაქტობრივი მუხლი შემცირებულია 4.6 ათასი ლარით.
- გარემოება გავლენას ახდენს (ბალანსი - ფორმა №1) „ვალდებულებები მოწოდებიდან და მომსახურებიდან“ მუხლის სისწორეზე.

სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება

გარემოება 1: მუნიციპალიტეტმა წლის მანძილზე შეიძინა მგზავრების გადაყვანის მომსახურება, ღირებულებით 2.9 ათასი ლარი¹⁸. საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით, ტრანსპორტის დაქირავების (გადაზიდვა-გადაყვანის) ხარჯები მიეკუთვნება „ტრანსპორტის, ტექნიკისა და იარაღის მოვლა-შენახვისა და ექსპლუატაციის ხარჯების“ მუხლს. მიუხედავად ამისა, მუნიციპალიტეტის მიერ აღნიშნული ხარჯი კლასიფიცირებულია არასწორად - „სხვა დანარჩენი საქონლისა და მომსახურების“ მუხლში.

გავლენა

- ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსის დანართი ფორმა №2) „სხვა დანარჩენი საქონლისა და მომსახურების“ მუხლი გაზრდილია 2.9 ათასი ლარით, ხოლო იმავე თანხით შემცირებულია „ტრანსპორტის, ტექნიკისა და იარაღის ექსპლუატაციისა და მოვლა-შენახვის“ მუხლი.

¹⁸ ხელშეკრულებები №93, №95, №96, №97, №98, №101, №102, №104, №105, №106.

გარემოება 2: 2013 წლის დეკემბერში მუნიციპალიტეტმა შეისყიდა 0.9 ათასი ლარის მომსახურება¹⁹, რომლის ღირებულება გადარიცხა 2014 წელს. აღნიშნული მუნიციპალიტეტის მიერ ფინანსურ ანგარიშგებაში უნდა აღირიცხოს „სხვა დანარჩენი საქონლისა და მომსახურების“ ფაქტობრივი ხარჯის მუხლში, რაც მუნიციპალიტეტის მიერ არ განხორციელებულა.

გავლენა

- ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსის დანართი ფორმა №2) „სხვა დანარჩენი საქონლისა და მომსახურების“ ფაქტობრივი მუხლი შემცირებულია 0.9 ათასი ლარით.
- გარემოება გავლენას ახდენს (ბალანსი - ფორმა №1) „ვალდებულებები მოწოდებიდან და მომსახურებიდან“ მუხლის სისწორეზე.

ძირითადი კაპიტალის მოხმარება

გარემოება: „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ძირითადი აქტივების ფიზიკური ცვეთის ნორმებისა და მათი ბუღალტრულ აღრიცხვაში ასახვის შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2002 წლის 31 დეკემბრის №439 ბრძანების მიხედვით, ძირითად აქტივებს, მიუხედავად იმისა, საანგარიშო წლის რომელ თვეშია ისინი შეძენილი ან წარმოებული, ცვეთა ერიცხება წლის ბოლოს, სრული კალენდარული წლისათვის. საანგარიშო წლის ბოლოს ძირითადი აქტივის ფიზიკური ცვეთა აღიარდება ხარჯად და აისახება ძირითადი აქტივების ფიზიკური ცვეთისა და ძირითადი აქტივების შესაბამის ანგარიშებზე.

2013 წელს მუნიციპალიტეტის მიერ ძირითად აქტივებზე ცვეთის დარიცხვა არ განხორციელებულა.

გავლენა

- ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსი ფორმა №1; ბალანსის დანართი ფორმა №2-1; ფორმა №5) არაფინანსური აქტივების შესაბამისი მუხლები არასწორი თანხითაა წარმოდგენილი.
- დასარიცხი ცვეთის თანხით ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსის დანართები ფორმა №2; №3 და №5) „ძირითადი კაპიტალის მოხმარების“ მუხლი არასწორად არის წარმოდგენილი.
- დასარიცხი ცვეთა გავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსი - ფორმა №1) წარმოდგენილ „წმინდა ღირებულების“ მუხლის სისწორეზე.

გრანტები

გარემოება: „ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით“ და „წმინდა ღირებულების შესახებ“ ორგანიზაციის ანგარიშებში „გრანტების“ მუხლში წარმოდგენილია 3128.9 ათასი ლარი. პასუხისმგებელი პირის განმარტებით, აღნიშნული თანხა არის არაფინანსური აქტივების ზრდის მაჩვენებელი, შესაბამისად, მისი ასახვა „გრანტების“ მუხლში არასწორია.

გავლენა

- ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსის დანართი ფორმა №2; №3) „გრანტების“ მუხლი გაზრდილია 3128.9 ათასი ლარით.
- აღნიშნული გავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსი - ფორმა №1) წარმოდგენილ „წმინდა ღირებულების“ მუხლის სისწორეზე.

¹⁹ სადაზღვევო კომპანია „ჯი-პი-აი ჰოლდინგი“, შპს „ეტალონი“.

ბალანსის დანართი ფორმები

გარემოება: საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 16 აპრილის №364 ბრძანების მიხედვით ორგანიზაცია ვალდებულია მოამზადოს ბალანსი და ბალანსის დანართი ფორმები, მათ შორის ფორმა №2-2 „ორგანიზაციის ანგარიში ფინანსური აქტივებითა და ვალდებულებებით საკასო ოპერაციების შესახებ“, ფორმა №4 „ანგარიში სხვა შემოსავლებიდან მიღებული სახსრების მოძრაობის შესახებ“, ფორმა №4-1 „ანგარიში ფულადი გრანტების შესახებ“ ბალანსის აღნიშნული დანართი ფორმები ასპინძის მუნიციპალიტეტის მიერ არ მომზადებულა.

გავლენა:

- გამოვლენილი გარემოების შედეგად, 2013 წლის ფინანსური ანგარიშგება არასრულყოფილად არის წარმოდგენილი და არ მოიცავს ინფორმაციას ფინანსური აქტივებითა და ვალდებულებებით საკასო ოპერაციების შესახებ, სხვა შემოსავლებიდან მიღებული სახსრების მოძრაობის შესახებ და ფულადი გრანტების შესახებ (ბალანსის დანართი ფორმა №2-2, ფორმა №4, ფორმა №4-1).

ინვენტარიზაცია

გარემოება: საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანების²⁰ - „საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების წესის“ თანახმად, ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების მონაცემების უტყუარობის უზრუნველყოფის მიზნით, ორგანიზაცია ვალდებულია მოახდინოს ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაცია. საბიუჯეტო ორგანიზაციაში აქტივებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარება სავალდებულოა ყოველწლიურად, საბიუჯეტო წლის ბოლოს, გარდა უძრავი ქონებისა და საბიბლიოთეკო ფონდებისა, რომელთა ინვენტარიზაცია სავალდებულოა სამ წელიწადში ერთხელ მაინც.

ინვენტარიზაცია უნდა დასრულდეს საანგარიშგებო წლის ბოლოს, ხოლო გადაულახავი ძალის მოქმედების, მათ შორის: სტიქიური უბედურებების, კატასტროფების, მძიმე კლიმატური პირობების და სხვა ფორსმაჟორული გარემოებების შედეგად, რომელთა წინასწარი განჭვრეტაც ორგანიზაციისათვის ობიექტურად შეუძლებელი იყო, ორგანიზაცია დროებით თავისუფლდება სავალდებულო ინვენტარიზაციის ჩატარების ვალდებულებისაგან იმ ვადით, სანამ შეუძლებელია ინსტრუქციით განსაზღვრული წესით ინვენტარიზაციის ჩატარება.

2013 წელს ასპინძის მუნიციპალიტეტში ინვენტარიზაცია დაიწყო 31 დეკემბერს²¹ და ცვლილების საფუძველზე დასრულდა 2014 წლის 20 მარტს. პასუხისმგებელი პირის განმარტებით, არ მომხდარა მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაცია.

გავლენა

- გამოვლენილი გარემოების შედეგად, მუნიციპალიტეტის მიერ დაირღვა „საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების წესის“ შესახებ ინსტრუქციის მოთხოვნები. კერძოდ, არ

²⁰ 2010 წლის 23 ივლისის №605 ბრძანება.

²¹ ასპინძის მუნიციპალიტეტის გამგებლის ბრძანება №532, ბრძანება №57/1.

მომხდარა ორგანიზაციის ბალანსზე რიცხული მოთხოვნებისა და ვალდებულებების რეალურობის შემოწმება. გარდა ამისა, დარღვეულ იქნა ინვენტარიზაციის ჩატარების ვადები.

აუდიტის დასკვნა - პირობითი დასკვნა

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მოსაზრებით, გარდა „პირობითი მოსაზრებების საფუძვლების“ საკითხების შესაძლო გავლენისა, ასპინძის მუნიციპალიტეტის ფინანსური ანგარიშგება 2014 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, მომზადებულია ჩამოთვლილი დოკუმენტების საფუძველზე:

- ✓ „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ“ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის №70 ბრძანებულება;
- ✓ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანებით დამტკიცებული „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ინსტრუქცია;
- ✓ „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 16 აპრილის №364 ბრძანება.

2014 წლის ფინანსური ანგარიშგების პირობითი მოსაზრების საფუძვლები

მუნიციპალიტეტის 2013 წლის ფინანსური ანგარიშგების აუდიტის შედეგად გამოვლენილი გარემოებები არსებით გავლენას ახდენს 2013 წლის ფინანსური ანგარიშგების საბოლოო ნაშთების სისწორეზე. აღნიშნულიდან გამომდინარე, 2014 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში არასწორად არის წარმოდგენილი საწყისი ნაშთები.

მოთხოვნები დარიცხული ჯარიმებით, სანქციებით და საკუთრებასთან დაკავშირებული სხვა შემოსავლებით

გარემოება: წარმოდგენილი ინფორმაციით, 2014 წელს მოქმედი ხელშეკრულებების მიხედვით, მისაღები შემოსავლები სასოფლო-სამეურნეო და არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების იჯარიდან არის 11.4 ათასი ლარი. პასუხისმგებელი პირის განმარტებით, მუნიციპალიტეტს 2014 წელს აღნიშნული შემოსავლები არ მიუღია და არც აღურიცხია.

გავლენა

- ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსი - ფორმა №1) „მოთხოვნები დარიცხული ჯარიმებით, სანქციებით და საკუთრებასთან დაკავშირებული სხვა შემოსავლებით“ მუხლი შემცირებულია 11.4 ათასი ლარით.
- გარემოება გავლენას ახდენს (ბალანსი - ფორმა №1, ფორმა №3) „წმინდა ღირებულების“ მუხლის სისწორეზე.

სხვა საგადასახადო აქტივი

გარემოება: ბიუჯეტთან ანგარიშსწორების შედარების აქტის მიხედვით, ასპინძის მუნიციპალიტეტს 2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ერიცხება ზედმეტობა 3.5 ათასი

ლარის ოდენობით. მუნიციპალიტეტის მიერ აღნიშნული საგადასახადო აქტივი ბალანსის შესაბამის მუხლში ასახული არ არის.

გავლენა

- ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსი - ფორმა №1) „სხვა საგადასახადო აქტივის“ მუხლი შემცირებულია 3.5 ათასი ლარით.

შენიშვნა-ნაგებობები

გარემოება 1: მიმწოდებლებთან გაფორმებული ხელშეკრულების თანახმად, მუნიციპალიტეტს შეეძლო დაეკავებინა სახელშეკრულებო ღირებულების ნაწილი საგარანტიო ვადის გასვლამდე. 2014 წელს შესრულებული სამუშაოების ფაქტობრივმა ღირებულებამ შეადგინა 52.9 ათასი ლარი, ხოლო მუნიციპალიტეტის მიერ აქტივად აღიარებულია 50.5 ათასი ლარად. დარჩენილი 2.4 ათასი ლარი²², მუნიციპალიტეტის მიერ აღიარებული უნდა იყოს ვალდებულებად, რაც არ განხორციელებულა.

ასევე, 2013 წელს დადებული ხელშეკრულების ფარგლებში²³, რომელთა დასრულების ვადაა 2014 წელი, მიმწოდებელმა შეასრულა 1134.2 ათასი ლარის სამუშაოები. მუნიციპალიტეტმა ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოადგინა მხოლოდ 2014 წელს შესრულებული სამუშაოები, თანხით 956.9 ათასი ლარი.

გავლენა

- ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსი ფორმა №1; ბალანსის დანართი ფორმა №2-1; ფორმა №5) „შენიშვნა-ნაგებობების“ შესაბამისი მუხლები შემცირებული თანხით არის წარმოდგენილი.
- ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსი ფორმა №1) „ვალდებულებები მოწოდებიდან და მომსახურებიდან“ მუხლი შემცირებულია 2.4 ათასი ლარით.
- შესრულებული სამუშაოები წარმოადგენს მუნიციპალიტეტის აქტივს და უნდა დარიცხვოდა ცვეთა, რაც არ განხორციელებულა. დასარიცხი ცვეთის თანხით ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსის დანართები ფორმა №2; №3 და №5) „ძირითადი კაპიტალის მოხმარების“ მუხლი არასწორად არის წარმოდგენილი.
- დასარიცხი ცვეთა გავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსი - ფორმა №1) წარმოდგენილ „წმინდა ღირებულების“ მუხლის სისწორეზე.

გარემოება 2: მიმწოდებელმა 2013 წელს წარმოადგინა შესრულებული სამუშაოები, ღირებულებით 687.9 ათასი ლარი²⁴. მუნიციპალიტეტმა საგარანტიო ვადის გასვლამდე დაიკავა 68.8 ათასი ლარი, რომელიც მიმწოდებლისთვის გადარიცხულია 2014 წელს. აღნიშნული თანხა მიკუთვნებულია 2014 წლის არაფინანსური აქტივის ზრდის ოპერაციას და წარმოდგენილია „შენიშვნა-ნაგებობების“ მუხლში, რაც არასწორია.

გავლენა

- ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსი ფორმა №1; ბალანსის დანართი ფორმა №2-1; ფორმა №5) „შენიშვნა-ნაგებობების“ შესაბამისი მუხლები გაზრდილი თანხით არის წარმოდგენილი.

²² ხელშეკრულება №136, №137

²³ ხელშეკრულება №84 (2013), №108 (2013)

²⁴ შპს „ავტოგზა“, ხელშეკრულება №78.

- დარიცხული ცვეთის თანხით ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსის დანართები ფორმა №2; №3 და №5) „ძირითადი კაპიტალის მოხმარების“ მუხლი არასწორად არის წარმოდგენილი.
- ცვეთა გავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსი - ფორმა №1) წარმოდგენილ „წმინდა ღირებულების“ მუხლის სისწორეზე.

გარემოება 3: მუნიციპალიტეტის მიერ წლის მანძილზე განხორციელდა 37.1²⁵ ათასი ლარის ისეთი საპროექტო მომსახურების შესყიდვა, რომლი საშუალებით შეიქმნა მუნიციპალიტეტის ძირითადი ქონება. საქართველოს ფინანსთა მინისტრის №1321 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციით²⁶, ოპერაციის ძირითად აქტივად აღიარების დროს ყველა დანახარჯი, რომელიც საჭიროა აქტივის დანიშნულებისამებრ გამოსაყენებლად და სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად, ემატება აქტივის ღირებულებას. მიუხედავად ამისა, აღნიშნული თანხა მუნიციპალიტეტის მიერ წარმოდგენილია „სხვა დანარჩენი საქონლისა და მომსახურების“ მუხლში.

გავლენა

- ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსი - ფორმა №1; ბალანსის დანართი ფორმა №2-1, ფორმა №5) „შენობა-ნაგებობების“ შესაბამისი მუხლები შემცირებულია 37.1 ათასი ლარით.
- ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსის დანართი ფორმა №2; №3) „სხვა დანარჩენი საქონლისა და მომსახურების“ მუხლი გაზრდილია 37.1 ათასი ლარით.
- შესრულებული სამუშაოები წარმოადგენს მუნიციპალიტეტის აქტივს და უნდა დაერიცხოს ცვეთა, რაც არ განხორციელებულა. დასარიცხი ცვეთის თანხით ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსის დანართები ფორმა №2; №3 და №5) „ძირითადი კაპიტალის მოხმარების“ მუხლი არასწორად არის წარმოდგენილი.
- დასარიცხი ცვეთა გავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსი - ფორმა №1) წარმოდგენილ „წმინდა ღირებულების“ მუხლის სისწორეზე.

გარემოება 4: სხვადასხვა მიმწოდებელთან გაფორმებული ხელშეკრულებების ფარგლებში, მუნიციპალიტეტმა შეისყიდა 9.2 ათასი ლარის ღირებულების გზის მოხრეშვისა და გაწმენდის სამუშაოები²⁷. აღნიშნული მიეკუთვნება მიმდინარე ხარჯს და წარმოდგენილი უნდა იყოს „სხვა დანარჩენი საქონლისა და მომსახურების“ მუხლში, ნაცვლად „შენობა-ნაგებობების“ მუხლისა.

გარდა ამისა, მუნიციპალიტეტის მიერ ახალციხის ტაო-კლარჯეთის ეპარქიისათვის²⁸ გადარიცხულია 25.0 ათასი ლარი, რომელიც აღიარებულია არაფინანსურ აქტივად. იქიდან გამომდინარე, რომ აღნიშნული მიეკუთვნება ხარჯებს, მისი წარმოდგენა „შენობა-ნაგებობების“ მუხლში არასწორია.

გავლენა

²⁵ ხელშეკრულებები №8, №24, №18, №30, №34, №35, №66, №107, №176, ასევე სოფლის პროგრამების ფარგლებში შესყიდული პროექტები.

²⁶ „ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“.

²⁷ ხელშეკრულებები №60, №61, №47, №55, №96.

²⁸ ასპინძის მუნიციპალიტეტის გამგებლის ბრძანება №183.

- ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსი ფორმა №1; ბალანსის დანართი ფორმა №2-1, ფორმა №5) „შენობა-ნაგებობების“ შესაბამისი მუხლები გაზრდილი თანხით არის წარმოდგენილი.
- ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსის დანართი ფორმა №2; №3) „სხვა დანარჩენი საქონლისა და მომსახურების“ მუხლი შემცირებულია 9.2 ათასი ლარით, ხოლო „სუბსიდიის“ მუხლი 25.0 ათასი ლარით.
- დარიცხული ცვეთის თანხით ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსის დანართები ფორმა №2; №3 და №5) „ძირითადი კაპიტალის მოხმარების“ მუხლი არასწორად არის წარმოდგენილი.
- ცვეთა გავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსი - ფორმა №1) წარმოდგენილ „წმინდა ღირებულების“ მუხლის სისწორეზე.

გარემოება 5: მუნიციპალიტეტმა შეისყიდა ომში დაღუპულ გმირთა მემორიალის დადგმის სამუშაოები, ღირებულებით 2.3 ათასი ლარი²⁹. აღნიშნული წარმოდგენილია „სოციალური უზრუნველყოფის“ მუხლში. იქიდან გამომდინარე, რომ სამუშაო მიეკუთვნება არაფინანსურ აქტივებს, მისი ასახვა „სოციალური უზრუნველყოფის“ მუხლში არასწორია.

გავლენა

- ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსი ფორმა №1; ბალანსის დანართი ფორმა №2-1; ფორმა №5) „შენობა-ნაგებობების“ შესაბამისი მუხლი შემცირებულია 2.3 ათასი ლარით, ხოლო (ბალანსი დანართი ფორმა №2) იმავე თანხით გაზრდილია „სოციალური უზრუნველყოფის“ მუხლი.
- შესრულებული სამუშაოები წარმოადგენს მუნიციპალიტეტის აქტივს და უნდა დარიცხვოდა ცვეთა, რაც არ განხორციელებულა. დასარიცხი ცვეთის თანხით ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსის დანართები ფორმა №2; №3 და №5) „ძირითადი კაპიტალის მოხმარების“ მუხლი არასწორად არის წარმოდგენილი.
- დასარიცხი ცვეთა გავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსი - ფორმა №1) წარმოდგენილ „წმინდა ღირებულების“ მუხლის სისწორეზე.

გარემოება 6: წარმოდგენილი ინფორმაციით, 2014 წელს ასპინძის მუნიციპალიტეტს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ გადასცა 27.6 ათასი ლარის ღირებულების შენობა-ნაგებობები. აღნიშნული არ არის წარმოდგენილი ფინანსურ ანგარიშგებაში.

გავლენა

- ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსი ფორმა №1; ბალანსის დანართი ფორმა №5) შემცირებულია „შენობა-ნაგებობების“ შესაბამისი მუხლი.
- ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსის დანართი ფორმა №3) 27.6 ათასი ლარით შემცირებულია „აქტივების უსასყიდლოდ მიღების“ მუხლი.
- აღნიშნული წარმოადგენს მუნიციპალიტეტის აქტივს და უნდა დარიცხვოდა ცვეთა, რაც არ განხორციელებულა. დასარიცხი ცვეთის თანხით ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსის დანართები ფორმა №2; №3 და №5) „ძირითადი კაპიტალის მოხმარების“ მუხლი არასწორად არის წარმოდგენილი.

²⁹ ხელშეკრულება №50.

- დასარიცხი ცვეთა გავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსი - ფორმა №1) წარმოდგენილ „წმინდა ღირებულების“ მუხლის სისწორეზე.

არაწარმოებული აქტივები

გარემოება: მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, ასპინძის მუნიციპალიტეტს 2014 წლის ბოლოს საკუთრებაში აქვს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 5568 ჰა მიწა და არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა - 1327 კვ.მ, საერთო ღირებულებით 760.1 ათასი ლარი. აღნიშნული მონაცემები ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი არ არის. წარმოდგენილი ინფორმაციის გარდა, საჯარო რეესტრის მონაცემებით, მუნიციპალიტეტს კიდევ ერიცხება გარკვეული ქონება, რომელიც ასევე უნდა აღირიცხოს ფინანსურ ანგარიშგებაში.

გავლენა

- ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსი - ფორმა №1 და ბალანსის დანართი ფორმა №5) „არაწარმოებული აქტივების“ მუხლი არასწორად არის წარმოდგენილი.

ვალდებულებები მოწოდებიდან და მომსახურებიდან

გარემოება 1: მუნიციპალიტეტს ორგანიზაციის ბალანსის მუხლში „ვალდებულებები მოწოდებიდან და მომსახურებიდან“ ერიცხება 292.1 ათასი ლარის საწყისი ნაშთი. პასუხისმგებელი პირის განმარტებით, აღნიშნული თანხა წარმოადგენს სხვაობას სხვადასხვა პროექტების სახელშეკრულებო და ფაქტობრივ ღირებულებას შორის³⁰. აღსანიშნავია, რომ მუნიციპალიტეტმა მიმწოდებლებს თანხა აუნაზღაურა შესრულებული სამუშაოს აქტების მიხედვით. შესაბამისად, სახელშეკრულებო და ფაქტობრივ ღირებულებას შორის სხვაობის ვალდებულებად აღიარება არასწორია. ნაცვლად აღნიშნულისა, ვალდებულებების მუხლში საწყის ნაშთად წარმოდგენილი უნდა იყოს 2013 წელს ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოების ღირებულება 80.1 ათასი ლარი³¹, რომელიც მუნიციპალიტეტმა გადარიცხა 2014 წელს.

გავლენა

- ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსი - ფორმა №1) „ვალდებულებები მოწოდებიდან და მომსახურებიდან“ მუხლის საწყისი ნაშთი ნაცვლად 292.1 ათასი ლარისა, უნდა იყოს 80.1 ათასი ლარი.

გარემოება 2: მუნიციპალიტეტს ორგანიზაციის ბალანსის მუხლში „ვალდებულებები მოწოდებიდან და მომსახურებიდან“ ერიცხება 427.4 ათასი ლარის საბოლოო ნაშთი. მათ შორის, პასუხისმგებელი პირის განმარტებით, 403.9 ათასი ლარი წარმოადგენს სხვაობას სხვადასხვა პროექტების სახელშეკრულებო და ფაქტობრივ ღირებულებას შორის³². აღსანიშნავია, რომ მუნიციპალიტეტმა მიმწოდებლებს თანხა აუნაზღაურა შესრულებული სამუშაოს აქტების მიხედვით. შესაბამისად, სახელშეკრულებო და ფაქტობრივ ღირებულებას შორის სხვაობის ვალდებულებად აღიარება არასწორია. ნაცვლად აღნიშნულისა, ვალდებულებების მუხლის საბოლოო ნაშთში წარმოდგენილი უნდა იყოს 2014 წელს

³⁰ შპს „კოლხი“ 2007 წელი.

³¹ ხელშეკრულება №78, „საქონლისა და მომსახურების“ მუხლით გაწეული ხარჯები.

³² შპს „კოლხი“ 2007 წელი (ოთა - ასპინძის წყალსადენი), ხელშეკრულება №144 (2014 წელი).

ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოების ღირებულება 6.1 ათასი ლარი³³, რომელიც მუნიციპალიტეტმა გადარიცხა 2015 წელს.

გავლენა

- ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსი - ფორმა №1) „ვალდებულებები მოწოდებიდან და მომსახურებიდან“ მუხლის საბოლოო ნაშთი, ერთი მხრივ, გაზრდილია 403.9 ათასი ლარით და მეორე მხრივ, შემცირებულია 6.1 ათასი ლარით. შესაბამისად, ნაცვლად 427.4 ათასი ლარისა, წარმოდგენილი უნდა იყოს 29.6 ათასი ლარი.

სხვა შემოსავლები

გარემოება: წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, დასუფთავების მოსაკრებლის ადმინისტრირებას ახდენს შპს „ასპინძის კეთილმოწყობა“. პასუხისმგებელი პირის განმარტებით, ფიზიკური პირებიდან ამოღებული მოსაკრებლის ოდენობამ 2014 წელს შეადგინა 3.4 ათასი ლარი, ხოლო იურიდიული პირებიდან - 14.6 ათასი ლარი. ადგილობრივ ბიუჯეტში ჩარიცხულია მხოლოდ 3.4 ათასი ლარი, ხოლო დანარჩენი რჩება შპს „ასპინძის კეთილმოწყობის“ ანგარიშზე. იქიდან გამომდინარე, რომ აღნიშნული მოსაკრებელი მთლიანად წარმოადგენს მუნიციპალიტეტის შემოსავალს, 14.6 ათასი ლარი აღიარებული უნდა იყოს მუხლში „სხვა შემოსავლები“.

გავლენა

- ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსი - ფორმა №3) „სხვა შემოსავლების“ მუხლი შემცირებულია 14.6 ათასი ლარით.
- გარემოება გავლენას ახდენს (ბალანსი - ფორმა №1, ფორმა №3) „წმინდა ღირებულების“ მუხლის სისწორეზე.

შრომის ანაზღაურება

გარემოება: მუნიციპალიტეტის ბალანსის დანართ ფორმა №2-ის „თანამდებობრივი სარგოს“ მუხლში აღრიცხულია 911.1 ათასი ლარი. წარმოდგენილი ინფორმაციით, აღნიშნული გარდა ხელფასებისა, მოიცავს კომპენსაციას -38.8 ათას ლარს. თანამშრომლებისათვის სამსახურიდან დათხოვნის კომპენსაციის სახით გაცემული თანხები უნდა კლასიფიცირდეს „სოციალური უზრუნველყოფის“ მუხლში.

ასევე, ასპინძის მუნიციპალიტეტმა 2014 წელს სახელფასო ფონდიდან სადეკრეტო შვებულებისათვის გასცა 0.9 ათასი ლარი, რაც „სოციალური უზრუნველყოფის“ მუხლს მიეკუთვნება.

გავლენა

- ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსი - დანართი ფორმა №2), ერთი მხრივ, „თანამდებობრივი სარგოს“ მუხლი გაზრდილია 39.7 ათასი ლარით, ხოლო მეორე მხრივ, შემცირებულია „სოციალური უზრუნველყოფის“ მუხლი (ბალანსი - დანართი ფორმა №2, №3) 39.7 ათასი ლარით.

ოფისის ხარჯი

გარემოება 1: 2013 წელს მუნიციპალიტეტის მიერ „ოფისის ხარჯების“ მუხლში აღრიცხულია კომუნალური და სხვა მომსახურების ღირებულება - 5.8 ათასი. აღნიშნული წარმოადგენს 2013 წლის დეკემბრის ელექტროენერგიის, წყლის და სხვა მომსახურების ღირებულებას და

³³ ხელშეკრულება №136, №137, „საქონლისა და მომსახურების“ მუხლით გაწეული ხარჯები.

გადარიცხულია 2014 წელს. შესაბამისად, მისი 2014 წლის ფაქტობრივ ხარჯად აღიარება არასწორია.

გარდა ამისა, ფინანსურ ანგარიშგებაში „ოფისის ხარჯების“ ფაქტობრივ მუხლში არ არის ასახული 3.7 ათასი ლარის ხარჯი. აღნიშნული წარმოდგენს დეკემბრის კომუნალური და სხვა მომსახურების თანხას, რომელიც გადარიცხულია 2015 წელს.

გავლენა

- ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსის დანართი ფორმა №2, ფორმა №3) „ოფისის ხარჯის“ ფაქტობრივი მუხლი, ერთი მხრივ, გაზრდილია 5.8 ათასი ლარით, ხოლო მეორეს მხრივ, შემცირებულია 3.7 ათასი ლარით.
- გარემოება გავლენას ახდენს (ბალანსი - ფორმა №1, ფორმა №3) „ვალდებულებები მოწოდებიდან და მომსახურებიდან“ მუხლის სისწორეზე.

გარემოება 2: მუნიციპალიტეტის მიერ გაწეული ხარჯი ბალანსზე რიცხული ავტომატურად რეცხვის მომსახურების თანხა - 1.3 ათასი ლარი³⁴, წარმოდგენილია „ოფისის ხარჯების“ მუხლში. საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით, მსგავსი ტიპის ხარჯები მიეკუთვნება „ტრანსპორტის, ტექნიკისა და იარაღის მოვლა-შენახვისა და ექსპლუატაციის ხარჯების“ მუხლს. შესაბამისად, ფინანსურ ანგარიშგებაში აღნიშნული ოპერაცია კლასიფიცირებულია არასწორ მუხლში.

გავლენა

